სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

14 ივლისი, 2025 წელი

ბრძანება № 01-02/145

ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის **სადოქტორო** საგანმანათლებლო პროგრამის „ბუნებრივ ნაერთთა ანალიზი“ **დოქტორანტ ლანა დათუაშვილის** სადისერტაციო **ნაშრომის საჯარო დაცვის თარიღის დანიშვნისა და სადისერტაციო კომისიის შექმნის შესახებ**

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, ,,ბსუ-ს დოქტორანტურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2024 წლის 27 დეკემბრის №06-01/129 დადგენილების, „ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2025 წლის 13 თებერვლის N06-01/18 დადგენილების, „2021-2022 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრისათვის სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან ბსუ-ში სტუდენტთა გადმოყვანის (მობილობის) წესით ჩარიცხვის შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2021 წლის წლის 29 სექტემბრის №01-08/536 ბრძანების, „ბსუ-ს 2021-2022 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში ჩარიცხული (მათ შორის მობილობის შედეგად) დოქტორანტების სამეცნიერო ხელმძღვანელებისა და სადისერტაციო ნაშრომების სათაურის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2021 წლის 01 დეკემბრის №01-02/213 ბრძანების, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილების (11.07.2025, ოქმი №27–20/09) და სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის 2025 წლის 11 ივლისის №859775 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის „ბუნებრივ ნაერთთა ანალიზის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის დოქტორანტ **ლანა დათუაშვილის** სადისერტაციო ნაშრომის ,,ქაცვის ნაყოფის ბიოაქტიური ნაერთების შესწავლა ოფთალმოლოგიური გამოყენების მალამოს მისაღებად და მისი თვალის ზედაპირული პოსტტრავმული ნაწიბურების რეგენერაციისთვის გამოცდა” **საჯარო დაცვა დაინიშნოს** 2025 წლის 26 ივლისს, 13:00 საათზე, №328 აუდიტორიაში (ბსუ-ს II კორპუსი, მე-3 სართული, ბათუმი, რუსთაველის /ნინოშვილის ქ. №32/35).
2. დამტკიცდეს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს მიერ შექმნილი **დარგობრივი სადისერტაციო კომისია** შემდეგი შემადგენლობით:
   2.1. **მაია ვანიძე** - ბიოლოგიის დოქტორი, ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის ქიმიის დარგობრივი დეპარტამენტის ხელმძღვანელი, პროფესორი - კომისიის თავმჯდომარე;

2.2. **მაია ხარაძე -** ქიმიის დოქტორი, ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის ქიმიის დარგობრივი დეპარტამენტის უფროსი მასწავლებელი - კომისიის მდივანი;

2.3. **რუსლან დავითაძე** - ქიმიის დოქტორი, ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის ქიმიის დარგობრივი დეპარტამენტის უფროსი მასწავლებელი, ბსუ-ს აგრარული და მემბრანული ტექნოლოგიების ინსტიტუტის მემბრანული ტექნოლოგიების განყოფილების უფროსი მეცნიერი თანამშრომელი - კომისიის წევრი;

2.4. **თინა ხარებავა** - ქიმიის დოქტორი, ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი - კომისიის წევრი;

2.5. **ინგა ქარცივაძე** - ქიმიის დოქტორი, ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის ქიმიის დარგობრივი დეპარტამენტის უფროსი მასწავლებელი -კომისიის წევრი;

2.6. **ნათია ხაზარაძე** - ქიმიის დოქტორი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი - კომისიის წევრი;

2.7. **იზოლდა დიდბარიძე** - ქიმიის დოქტორი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი - კომისიის წევრი.

3. წინამდებარე ბრძანება და სადისერტაციო ნაშრომის საჯარო დაცვის შესახებ ინფორმაცია განთავსდეს უნივერსიტეტის ვებგვერდზე (საჯარო დაცვის თარიღის, დროის, ადგილის, დოქტორანტისა და სადისერტაციო თემის შესახებ).
4. ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის დეკანის ოფისმა უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანების დოქტორანტისათვის გაგზავნა და მის პირად საქმეში განთავსება.
5. ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს მდივანმა უზრუნველყოს დოქტორანტისა და შესაბამისი სადისერტაციო კომისიის წევრების ინფორმირება საჯარო დაცვის თარიღისა და განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ.
6. ბრძანება დაეგზავნოს რექტორის მოადგილეს (მ. ხალვაშს), ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, სამეცნიერო კვლევების სამსახურს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტს (ფაკულტეტის დეკანს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარეს, პროფესორ მარინა ნაგერვაძეს; სადისერტაციო საბჭოს მდივანს ასოცირებულ პროფესორ ეთერ ჯაყელს).
7. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
8. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით, ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ს. ზუბალაშვილის ქ. №30).

ბსუ-ს რექტორი **ტიტე არუშიძე**